



## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### დადგენილება №06

2017 წლის 19 ივნისი  
ქ. ამბროლაური

#### „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

შეტანილ იქნას „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის N27 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 30/12/2016წ; სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.117.016309) დამტკიცებულ დანართში შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

„განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|-------------------------|-----------------|---|----------------------|
|                         | სულ             | მათ შორის   |                      |
|                         |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები             | 6433.081        | 2809.681  | 3623.400             |
| გადასახადები            | 340.0           | 0.0   | 340.0                |
| გრანტები                | 5442.081        | 2809.681  | 2 632.400            |
| სხვა შემოსავლები        | 651.0           | 0.0   | 651.0                |
| ხარჯები                 | 3992.000        | 505.000   | 3 487.000            |
| შრომის ანაზღაურება      | 1205.4          | 43.2  | 1 162.2              |
| საქონელი და მომსახურება | 1280.500        | 456.800   | 823.700              |
| სუბსიდიები              | 1 080.0         | 0.0   | 1 080.0              |
| გრანტები                | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 285.0           | 5.0   | 280.0                |
| სხვა ხარჯები            | 141.1           | 0.0   | 141.1                |

|                                 |         |         |        |
|---------------------------------|---------|---------|--------|
| საოპერაციო საღდო                | 2 441.1 | 2 304.7 | 136.4  |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 879.2 | 2 572.4 | 306.8  |
| ზრდა                            | 3217.6  | 2 572.4 | 645.2  |
| კლება                           | 338.4   | 0.0     | 338.4  |
| მთლიანი საღდო                   | -438.1  | -267.7  | -170.4 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | -453.5  | -267.7  | -185.7 |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 453.5   | 267.7   | 185.7  |
| ზრდა                            | 0.0     | 0.0     | 0.0    |
| კლება                           | 453.5   | 267.7   | 185.7  |
| ვალდებულებების ცვლილება         | -15.3   | 0.0     | -15.3  |
| კლება                           | 15.3    | 0.0     | 15.3   |
| ბალანსი                         | 0.0     | 0.0     | 0.0    |

ბ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება                   | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|------------------------------|-----------------|---|----------------------|
|                              | სულ             | მათ შორის   |                      |
|                              |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები                 | 6 771.481       | 2 809.681   | 3 961.800            |
| შემოსავლები                  | 6 443.081       | 2 809.681   | 3 623.4              |
| არაფინანსური აქტივების კლება | 338.4           | 0.0   | 338.4                |
| ფინანსური აქტივების ზრდა     | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| გადასახდელები                | 7224.960        | 3077.422  | 4 147.538            |
| ხარჯები                      | 3 992.000       | 505.000   | 3 487.000            |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 3 217.622       | 2 572.422   | 645.200              |
| ფინანსური აქტივების ზრდა     | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| ვალდებულებების კლება         | 15.338          | 0.0   | 15.338               |
| ნაშთის ცვლილება              | 453.5           | 267.7   | 185.7                |

გ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6433.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება       | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|------------------|-----------------|---|----------------------|
|                  | სულ             | მათ შორის   |                      |
|                  |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები      | 6433.081        | 2 809.681   | 3 623.4              |
| გადასახდელები    | 340.0           | 0.0   | 340.0                |
| გრანტები         | 5442.081        | 2 809.681   | 2632.4               |
| სხვა შემოსავლები | 651.0           | 0.0   | 651.0                |

დ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5442.081 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება  | კოდი      | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|---|-----------|-----------------|---|----------------------|
|   |           | სულ             | მათ შორის   |                      |
|   |           |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| <b>გრანტები</b>   | <b>13</b> | <b>5442.081</b> | <b>2809.681</b>                                       | <b>2 632.4</b>       |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული ქრანტები       | 131       |                 |   |                      |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი  | 133       | 5442.081        | 2 809.681   | 2 632.4              |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები   | 1311      | 2 687.400       | 55.000  | 2 632.400            |
| გათანაბრებითი ტრანსფერი   |           | 2 632.400       | 0.0   | 2 632.4              |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად               |           | 55,0            | 55.0  | 0.0                  |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად |           | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები   | 1312      | 2 754.681       | 2 754.681   | 0.0                  |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა   |           | 0,0             |   | 0.0                  |

ე) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3 992.000 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2017 წლის გეგმა  |   |                      |
|-------------------------|------------------|---|----------------------|
|                         | სულ              | მათ შორის   |                      |
|                         |                  | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| <b>ხარჯები</b>          | <b>3 992.000</b> | <b>505.000</b>  | <b>3 487.000</b>     |
| შრომის ანაზღაურება      | 1 205.4          | 43.2  | 1 162.2              |
| საქონელი და მომსახურება | 1280.500         | 456.800   | 823.700              |
| სუბსიდიები              | 1 080.0          | 0,0   | 1 080.0              |
| გრანტები                | 0.0              | 0.0   | 0.0                  |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 285.0            | 5.0   | 280.0                |
| სხვა ხარჯები            | 141.1            | 0.0   | 141.1                |

ვ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2 879.200 ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2017 წლის გეგმა |
|------------|-----------------|
|------------|-----------------|

|                                 | სულ       | მათ შორის   |                      |
|---------------------------------|-----------|---|----------------------|
|                                 |           | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 879.200 | 2 572.400   | 306.800              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა     | 3 217.600 | 2 572.400   | 645.200              |
| არაფინანსური აქტივების კლება    | 338.400   | 0.0   | 338.400              |

ზ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება  | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|--------------------|---|-----------------|---|----------------------|
|                    |   | სულ             | მათ შორის   |                      |
|                    |   |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701                | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება  | 1 632.7         | 0.0   | 1 632.7              |
| 7011               | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 632.7         | 0,0   | 1 632.7              |
| 70111              | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა  | 1 567.7         | 0,0   | 1 567.7              |
| 70112              | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა   | 65.0            | 0.0   | 65.0                 |
| 7016               | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები   | 0.0             | 0,0   | 0.0                  |
| 7018               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში   | 0,0             | 0,0   | 0,0                  |
| 702                | თავდაცვა  | 50.0            | 50.0  | 0.0                  |
| 703                | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება   | 0,0             | 0.0   | 0,0                  |
| 7031               | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა  | 0,0             | 0.0   | 0,0                  |
| 7032               | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა   | 0,0             | 0.0   | 0,0                  |
| 704                | ეკონომიკური საქმიანობა  | 2 719.420       | 2 276.920   | 442.500              |
| 7042               | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა   | 50.709          | 50.709  | 0.0                  |
| 7045               | ტრანსპორტი  | 2 260.086       | 1 945.086   | 315.0                |
| 70451              | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები  | 2 260.086       | 1 945.086   | 315.0                |
| 7049               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში  | 408.625         | 281.125   | 127.500              |
| 705                | გარემოს დაცვა   | 762.500         | 450.000   | 312.500              |
| 7051               | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება   | 572.500         | 450,000   | 122.500              |
| 7052               | ჩამდინარე წყლების მართვა  | 190.0           | 0,0   | 190.0                |
| 706                | საბინაო-კომუნალური მეურნეობა  | 790.900         | 295.500   | 495.400              |
| 7061               | ბინათმშენებლობა   | 0,0             | 0.0   | 0,0                  |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება   | 2017 წლის გეგმა |   |                      |
|--------------------|--|-----------------|---|----------------------|
|                    |  | სულ             | მათ შორის   |                      |
|                    |  |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 7063               | წყალმომარაგება   | 548.900         | 295.500   | 253.400              |
| 7064               | გარე განათება  | 142.000         | 0.0   | 142.000              |
| 7066               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| 707                | ჯანმრთელობის დაცვა   | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| 7074               | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                             | 0.0             | 0.0   | 0.0                  |
| 708                | დასვენება, კულტურა და რელიგია                                    | 522.000         | 0,0   | 522.000              |
| 7081               | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                       | 243.900         | 0,0   | 243.900              |
| 7082               | მომსახურება კულტურის სფეროში                                     | 246.100         | 0.0   | 246.100              |
| 7083               | ტელერადიომუშაველობა და საგამომცემლო საქმიანობა                   | 7.000           | 0.0   | 7.000                |
| 7084               | რელიგიური და სხვა საზოგადო საქმიანობა                            | 25.000          | 0,0   | 25.000               |
| 709                | განათლება  | 430.000         | 0,0   | 430.000              |
| 7091               | სკოლამდელი აღზრდა  | 430.000         | 0,0   | 430.000              |
| 7092               | ზოგადი განათლება   | 0.0             | 0,0   | 0.0                  |
| 710                | სოციალური დაცვა  | 302.100         | 5.000   | 297.100              |
| 7103               | ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფა                            | 5.000           | 5.000   | 0.0                  |
| 7104               | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                           | 140.000         | 0.0   | 140.000              |
| 7101               | ტრანსპორტით მომსახურება  | 40.000          | 0,0   | 40.000               |
| 7109               | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში      | 27.100          | 0.0   | 27.100               |
|                    | სულ  | 7224.960        | 3077.422  | 4 147.538            |

თ) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის მხარდაჭერა**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან ეს ორგანოები არიან მუნიციპალიტეტის ძირითადი მიმართულობების განმსაზღვრელი და აღმსრულებელი.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის ფარგლებში ჩამოყალიბდება ეფექტიანი და გამჭირვალე საბიუჯეტო პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას.

განსახორციელებელი პროგრამების მეშვეობით საკრებულო და გამგეობა მუნიციპალიტეტში ახორციელებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს. წარმომადგენლობითი ორგანო თავის კომპენტეციის ფარგლებში განახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, ხოლო აღმასრულებელი ორგანო საქართველოს კანონმდებლობით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ადასრულებს საქართველოს მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებებს.

## **2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება.

### **2.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

## **3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

### **3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების მოვლა შენახვა და რეაბილიტაცია, ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ტრანსპორტირების მიზნით, შესყიდული იქნება მაღალი გამავლობის მიკროავტობუსები.

### **3.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან იზოლირება.

#### **3.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიების სასოფლო და საუბნო გზების გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები. მოეწყობა დამატებითი გარე განათების ხაზები.

#### **3.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება, შეძენილი იქნება და ექსპლოატაციაში ჩაეშვება ნაგვის ახალი ბუნკერები, სოფ. ურავში ყოფილი სამთო ქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე არსებული მავნე ნარჩენი საკოსერვაციო სამუშაოები.

#### **3.2.3. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 2017 წელში გათვალისწინებულია წყალსადენის სისტემების მოვლა შენახვისა და

ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. დაფინანსებული იქნება წყალმომარაგების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შესაბამისად დაფინანსდება მუნიციპალიტეტის უმეტესი სოფლის წყლის სათავე ნაგებობებისა და წყალსადენი ქსელების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

**3.2.4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 04)** პროგრამა ითვალისწინებს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას და არსებული საბავშვო ბაღების კეთილმოწყობას, ასევე სოფლებში სპორტული მოედნების მშენებლობას.

**3.2.5. ა(ა)იპ „პროექტირებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 03 06)**

აიპ-ს სამოქმედო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება აღნიშნული ორგანიზაცია, რომლის დაფინანსების მოცულობაც განისაზღვრა 190 000 ლარით, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული წყალმომარაგების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას, ასევე აწარმოებს შიდა სასოფლო და საუბნო გზების მიმდინარე სამუშაოებს.

**3.3. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაპირდამცავი - ჯებირების მოწყობა.

**3.3.1. ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

აღნიშნული ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მდინარეებიდან სავარგულების დაცვისა და სახელმწიფო ან/და კერძო ქონების დაცვის პრევენციის მიზნით ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსებას.

**3.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფლად მოეწეობა გარე განათება, შეკეთდება საუბნო წყალსადენი სისტემები და საუბნო გზები, გარემონტდება სარიტუალო დარბაზები, შემოიღობება სასაფლაოები და სავარგულები, მოეწყობა სპორტული მოედნები და შეძენილი იქნება მინი ტრაქტორები.

**4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების შენობების მოვლა-შენახვის, ასევე მათი გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება.

**4.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, ხოლო 2017 წლიდან საბავშვო ბაღების ქსელს დაემატება ერთი ერთეული და 13 ბაღში დაწყებით განათლებას მიიღებს 150-ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაუშვებელია საბავშვო ბაღებში კვებისა და საგანმანათლებლო სერვისზე ნებისმიერი გადასახადის შემოღება. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. განხორციელდება საბავშვო ბაღების აღჭურვა.

**5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ

მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

### **5.1. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

#### **5.1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება

-კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები;

-ბიბლიოთეკები.

#### **5.1.2. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)**

პროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

#### **5.1.3. ახალგაზრდულ ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

#### **5.1.4. ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 03)**

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ ძეგლთა პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა და ფინანსდება ა(ა)იპ ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ტურისტული და საკურორტო პოტენციალის ათვისება, განვითარება და რეკლამირება, სხვადასხვა ტურისტული მარშრუტების შედგენა, კერძო სექტორის პროცესებში ჩართულობა და სამომავლო სტრატეგიული გეგმის შემუშავება. განხორციელდება კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა პასპორტიზაცია, მათი მოვლა-პატრონობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩართვა მეურვეობის პროცესში. ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლების რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

### **6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შედავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

#### **6.1. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შედავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას.

##### **6.1.1. ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება (კოდი 06 02 03)**

პროგრამა ითვალისწინებს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ერთჯერად დახმარებას და გარდაცვლილ ომის ვეტერანის უკვდავყოფისათვის სარიტუალო მომსახურების ხარჯებისათვის დაფინანსებას, თითოეულზე - 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

##### **6.1.2. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)**



პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა ახალშობილის ოჯახი (თითოეულ ახალშობილზე 400 ლარით, ხოლო მესამე და შემდგომ ბავშვზე 450 ლარი). დედამამით ობოლი ბავშვების, მარჩენალდაკარგული ოჯახების, შ.შ.მ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. ასი წლისა და ას წელს გადაცილებული ასაკის მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები - 200 ლარის ოდენობით. უსახლკაროებისათვის ბინის დაქირავების ხარჯი თვეში განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით.

**6.1.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარჯების წილობრივ დაფინანსებას და დიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა ყოველთვიურ 250 ლარიან დახმარებას.

**6.1.4. სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)**

პროგრამა ითვალისწინებს სტიქიით შედეგად (საცხოვრებელი სახლი) დაზარალებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, სახლის დაზიანების ხარისხის პროცენტული რაოდენობის შესაბამისად არაუმეტეს 7000 ლარის ოდენობით. თანხის გაცემა ხორციელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილი წესით. აგრეთვე დაფინანსდებიან უსახლკაროდ დარჩენილი და ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა.

**6.1.5. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების სოციალური პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

